



საქართველო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
შიდა აუდიტის სამსახური

სტრატეგიული გეგმა დანართი №1

“ მ ო ა მ ზ ა დ ა “

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს

შიდა აუდიტის სამსახურის

უფროსი

გიორგი გელაშვილი

„-31-“ ---დეკემბერი--- 2018 წელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოციალური მომსახურების სააგენტო
შიდა აუდიტის სამსახური

სტრატეგიული განვითარების გეგმა
(2019-2021 წწ.)

თბილისი, 2018

შინაარსი

1. შესავალი	2
1.1. მიმოხილვა და სამართლებრივი ჩარჩო.....	2
1.2. შიდა აუდიტის სამსახურის მიზნები, ღირებულებები და მისი საქმიანობის მოწყობა სააგენტოში	4
1.2.1. შიდა აუდიტის საქმიანობის მოწყობა სააგენტოში	4
1.2.2. შიდა აუდიტის სამსახურის მიზნები	4
1.2.3. შიდა აუდიტის ძირითადი ღირებულებები	6
1.3. გეგმის დამტკიცება და შემდგომი ნაბიჯები.....	7
2. სააგენტოს საქმიანობა, სტრატეგიული მიზნები და შიდა კონტროლი	7
2.1. სააგენტოს საქმიანობა.....	7
2.2. სააგენტოს სტრატეგიული მიზნები.....	8
2.3. შიდა კონტროლის სისტემის დანერგვის მიმოხილვა	9
3. შიდა აუდიტის გარემო.....	10
4. რისკის შეფასება.....	11
4.1. რისკის შეფასების მიდგომის მიმოხილვა.....	11
5. შიდა აუდიტის მიდგომა.....	13
5.1. დაგეგმილი აუდიტორული შემოწმებები.....	14
5.2. ადამიანური რესურსების განვითარება	15
დანართი №1.2.....	16
დანართი №1.3.....	17
დანართი №1.4.....	18

1. შესავალი

1.1. მიმოხილვა და სამართლებრივი ჩარჩო


წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს“ (შემდგომში - სააგენტო) შიდა აუდიტის სამსახურის სტრატეგიული განვითარების გეგმას 2019-2021 წლებისათვის (შემდგომში - სტრატეგიული გეგმა), რომელიც მოიცავს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ხედვას და გეგმას მომავალი სამი წლის განმავლობაში, შესაბამისი მიზნებითა და ამოცანებით.

აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილი სტრატეგიული მიზნები ითვალისწინებს - აუდიტორული საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებას და შედეგების ღირებულების ზრდას სააგენტოს მიზნების მისაღწევად, შიდა აუდიტის სამსახურის როლის ზრდას საჯარო რესურსების მართვისა და კონტროლის სისტემის მუდმივ გაუმჯობესებაში, შიდა აუდიტის სამსახურის ჩამოყალიბებას მაღალპროფესიულ სტრუქტურულ ერთეულად შესაბამისი განათლების მქონე კადრებით, თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მართვის სისტემებითა და პროცესებით, რაც მთლიანობაში უზრუნველყოფს აუდიტორული საქმიანობის მაღალ ხარისხს, დროულობასა და სანდოობას.

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 დეკემბრის №593 დადგენილებით დამტკიცებული „შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის“, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 03 ოქტომბრის №01-14/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს“ დირექტორის 2009 წლის 31 დეკემბრის №01/474-ო ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს“ ცენტრალური აპარატის დებულების (დანართი №1), ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ გაცემული რეკომენდაციებისა და შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის თანახმად, დაგეგმვა ერთ-ერთი ძირითადი მენეჯერული ფუნქციაა დაწესებულებაში. იქიდან გამომდინარე, რომ შიდა აუდიტის სამსახური სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს, მისი აქტივობები ადეკვატურად უნდა იყოს დაგეგმილი და გაკონტროლებული.

დაგეგმვა შიდა აუდიტის სუბიექტის დონეზე გულისხმობს შიდა აუდიტის სტრატეგიული და წლიური გეგმების მომზადებას, ხოლო წარმატებული დაგეგმვის პროცესი მოითხოვს სისტემურ მიდგომას, განსხვავებული სფეროების ცოდნას და გათვითცნობიერებას რისკებსა და შიდა კონტროლში, როგორც ეს აღნიშნულია შიდა აუდიტის მეთოდოლოგიაში. ზემოაღნიშნული პროცესი გამოიყურება შემდეგნაირად:



წინამდებარე სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, პირველი წლის სამოქმედო გეგმას წარმოადგენს შიდა აუდიტის სამსახურის 2019 წლის სამოქმედო გეგმა.

1.2. შიდა აუდიტის სამსახურის მიზნები, ღირებულებები და მისი საქმიანობის მოწყობა სააგენტოში

1.2.1. შიდა აუდიტის საქმიანობის მოწყობა სააგენტოში

სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახურის სამართლებრივი სტატუსი, უფლებამოსილებები, სტრუქტურა და ანგარიშვალდებულება განსაზღვრულია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს“ დირექტორის 2009 წლის 31 დეკემბრის №01/474-ო ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს“ ცენტრალური აპარატის დებულებით (დანართი №1).

სტრატეგიული გეგმის მომზადების პერიოდში შიდა აუდიტის სამსახურში, სამსახურის უფროსისა და სამსახურის უფროსის მოადგილის ჩათვლით დასაქმებულთა რიცხოვნობა შეადგენს 15 (თხუთმეტი) ერთეულს, მათ შორის 13 (ცამეტი) შტატით გათვალისწინებული და 2 (ორი) შტატგარეშე თანამშრომელი.

სამსახური ფუნქციურად დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და ანგარიშვალდებულება უშუალოდ სააგენტოს დირექტორის წინაშე.

1.2.2. შიდა აუდიტის სამსახურის მიზნები

სააგენტოს მიერ დასახული მიზნების მისაღწევად - შიდა აუდიტის სამსახური ახორციელებს დამოუკიდებელ და ობიექტურ საქმიანობას სააგენტოს სტრუქტურულ და/ან ტერიტორიულ ერთეულებში მიმდინარე ყველა პროცესში და საქმიანობის სფეროში, შედეგად აანალიზებს და აფასებს სააგენტოში არსებული პოლიტიკისა და პროცედურების შესრულებას, საკანონმდებლო მოთხოვნებისა და არსებული სტანდარტების დაცვას, რესურსების ეფექტურად/ეკონომიურად გამოყენებასა და ამოცანების ეფექტურ შესრულებას.

სამსახურის, როგორც აუდიტის სუბიექტის ამოცანებს წარმოადგენს:

- სააგენტოს დირექტორის უზრუნველყოფა ინფორმაციით, სააგენტოს სისტემაში არსებული ფინანსური მართვისა და კონტროლის მექანიზმების ადეკვატურობის, ეკონომიურობის, ეფექტიანობის, მოქმედ სტანდარტებთან და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ;
- სააგენტოს წინაშე არსებული რისკების მართვის ხარისხის შეფასება, სააგენტოს სისტემის საქმიანობის გაუმჯობესება და მისი მიზნების მიღწევის ხელშეწყობა.

სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახურის სტრატეგია მომავალ სამწლიან პერიოდში შესაძლებელია დახასიათდეს შემდეგი მიზნებით:

მიზანი - შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ღირებულების გაზრდა სააგენტოს შემდეგი ძირითადი მიზნების მიღწევაში:

- სააგენტოს მიერ მოსახლეობის შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაცია და მისი განხორციელების ხელშეწყობა, იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა (შემდგომში - დევნილი) და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ პირთა (შემდგომში - ეკომიგრანტი) მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;
- სააგენტოს მმართველობაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების, ცენტრალური აპარატის, ტერიტორიული ორგანოების და სახელმწიფო პროგრამების ეფექტური კონტროლის განხორციელება.

აღნიშნულის მისაღწევად შიდა აუდიტის სამსახური ერთი მხრივ განახორციელებს თავის საქმიანობას „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონთან, ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებთან და შიდა აუდიტის მეთოდოლოგიასთან შესაბამისობაში და მეორე მხრივ სააგენტოს სტრუქტურაში ლიდერის პოზიციიდან.

მიზანი - შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ღირებულების გაზრდა სააგენტოში ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებაში და პროცედურების განხორციელებაში. აღნიშნული ვალდებულება შიდა აუდიტის სამსახურს მოეთხოვება, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 მარტის №133 დადგენილებით დამტკიცებული „ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქციის“ შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო დაწესებულებებში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის სამ ეტაპად განხორციელებას:

- ფინანსური კონტროლი;
- მენეჯერული კონტროლი, და
- ფინანსური მართვა.

ამასთან, აღნიშნული ინსტრუქციით შიდა აუდიტი, როგორც შიდა კონტროლის ერთ-ერთი კომპონენტის - მონიტორინგის და შეფასების განმახორციელებელი სუბიექტი, ვალდებულია

განახორციელოს თითოეული ეტაპის დანერგვის პროცესის სისწორისა და ამ ინსტრუქციით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება მთელი სააგენტოს მასშტაბით.

მიზანი - მაღალი საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, შიდა აუდიტის სამსახური საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში გეგმავს აუდიტორული საქმიანობის წარმართვას შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებებით:

- აუდიტორული საქმიანობით მოიცვას ყველა ის სფერო, რომელიც საჯარო ფინანსების მართვისათვის დიდი მნიშვნელობით და/ან მაღალი რისკიანობით ხასიათდება;
- შიდა აუდიტის სამსახური მიზნად ისახავს ეტაპობრივად დანერგოს და განახორციელოს ეფექტიანობის აუდიტი თავის აუდიტორულ საქმიანობაში, ეფექტიანობის აუდიტის როლის ზრდით შიდა აუდიტის სამსახური შეძლებს საჯარო მმართველობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეკომენდაციებით ხელი შეუწყოს სახელმწიფო სახსრების ხარჯვის ეფექტიანობის ამაღლებას.

მიზანი - შიდა აუდიტის სამსახური თავის საქმიანობას განახორციელებს თანამედროვე საუკეთესო გამოცდილებების დანერგვით, მათ შორის თანამედროვე ტექნოლოგიების, სამსახურის მუშაობის პროდუქტიულობის და ეფექტიანობის ასამაღლებლად.

მიზანი - შიდა აუდიტის სამსახური შეიმუშავებს და დანერგავს აუდიტის სუბიექტსა და ობიექტებს შორის ურთიერთობის და კომუნიკაციის სტრატეგიას. აღნიშნული გულისხმობს, აუდიტის სუბიექტის მიერ ობიექტების თანამშრომლებისათვის შიდა აუდიტის სამსახურთან ურთიერთობის და საჭირო ინფორმაციის (დოკუმენტების) მიწოდების ვალდებულების კანონის შესაბამისად განმარტებას და ორივე მხარისათვის სარგებლის წარმოჩენას. აღნიშნული სტრატეგია ხელს შეუწყობს:

- აუდიტის სუბიექტს და ობიექტებს შორის სამუშაო ინფორმაციის დროულ და ეფექტიან გაცვლას;
- აუდიტის სუბიექტს და ობიექტებს შორის სამუშაოს შეუფერხებლად განხორციელებას და კოორდინაციას.

1.2.3. შიდა აუდიტის ძირითადი ღირებულებები

შიდა აუდიტის სამსახური ხელმძღვანელობს რა შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსით, საქმიანობას აფუძნებს სამ ძირითად ღირებულებაზე:

- **დამოუკიდებლობა** - შიდა აუდიტის სამსახური წარმოადგენს დამოუკიდებელ ერთეულს ორგანიზაციის მთლიან სტრუქტურაში, რომლის საქმიანობა სააგენტოს ხელმძღვანელობის მიერ ზედამხედველობის განხორციელების პროცესში დაფუძნებულია მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის პრინციპებზე. შიდა აუდიტის სამსახურის დამოუკიდებლობა ხელშეწყობილია ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ სამსახურის უშუალოდ მასთან დაქვემდებარებით და ასევე, ორგანიზაციის მმართველობით პროცესებში არ მონაწილეობით.
- **ობიექტურობა** - შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა ეფუძნება გამჭვირვალობის, სამართლიანობის, სიზუსტის და დროულობის პრინციპებს, რაც თავის მხრივ განაპირობებს ობიექტურობის მაღალ ხარისხს.
- **პროფესიონალიზმი** - შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლები ხელმძღვანელობენ პროფესიული ეთიკის კოდექსით. შიდა აუდიტის სამსახური ზრუნავს კადრების უწყვეტ პროფესიულ ზრდაზე, მათი ცოდნის, გამოცდილების და შესაძლებლობების განვითარებაზე. აღნიშნული ხელს უწყობს სამსახურის საქმიანობის მაღალი ხარისხის მიღწევას.

1.3. გეგმის დამტკიცება და შემდგომი ნაბიჯები

წინამდებარე სტრატეგიული გეგმის შემუშავება მოხდა სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახურისა და სააგენტოს ხელმძღვანელობის მჭიდრო კოორდინაციის საფუძველზე.

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის მიერ, რომლის საბოლოო ვერსია, დაგეგმილი პერიოდის დაწყებამდე დასამტკიცებლად წარედგინა სააგენტოს დირექტორს.

2. სააგენტოს საქმიანობა, სტრატეგიული მიზნები და შიდა კონტროლი

2.1. სააგენტოს საქმიანობა

სააგენტო არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

სააგენტო ანგარიშვალდებულია სამინისტროს წინაშე, საქართველოს საკანონმდებლო აქტებით და სააგენტოს დებულებით დადგენილ ფარგლებში და წესით.

სააგენტოს მიზნებია მოსახლეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაცია და მისი განხორციელების ხელშეწყობა, იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ პირთა - ეკომიგრანტთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება.

სააგენტო ადმინისტრირებას უწევს რამდენიმე ათეულ სოციალურ და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამას. სააგენტო მრავალმილიონიანი ხარჯების განმკარგავი სამსახურია, რომელიც მიმართულია მრავალფეროვანი, მომსახურებისა თუ დახმარების საჭიროების მქონე კონტიგენტის - სოციალური გასაცემლებით, ჯანდაცვისა და სოციალური სახელმწიფო პროგრამებით მაქსიმალური უზრუნველყოფისკენ.

სახელმწიფო პენსია, სოციალური დახმარება, ჯანმრთელობის დაზღვევა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა სათანადო უზრუნველყოფა, მზრუნველობამოკლებული ბავშვების მეურვეობა-მზრუნველობა ეს ის ძირითადი საკითხებია, რომლის ფარგლებშიც სააგენტოში დასაქმებული 2000-ზე მეტი თანამშრომელი დაახლოებით 2,5 მილიონ საქართველოს მოქალაქეს (საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 60 პროცენტი) ემსახურება.

სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები 68 მისამართზეა განთავსებული, რომლებიც ყოველთვიურად შესაბამის მომსახურებას უწევს საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის თითქმის მესამედს.

სააგენტო საქართველოს მოქალაქეთა 25%-ზე მეტს უზრუნველყოფს უფასო სამედიცინო დაზღვევით, რაც სახელმწიფო დაფინანსებით ბენეფიციართა სრულყოფილ სამედიცინო მომსახურებას ნიშნავს.

სააგენტო ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოა, რომელიც მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს სხვადასხვა პრივილეგიებს, შეღავათებსა და საჭირო მომსახურებებს სთავაზობს, მათი საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის მიზნით.

2.2. სააგენტოს სტრატეგიული მიზნები

სააგენტოს ძირითადი მიზანი მოსახლეობის სოციალურად ყველაზე დაუცველი ფენის მხარდაჭერა, მოქალაქეთათვის გაწეული მომსახურების ხარისხის ამაღლება, სერვისების დახვეწა,

უფრო მოქნილ, მარტივ და სწრაფ, მოსახლეობისათვის ადვილად ხელმისაწვდომ მექანიზმებზე გადაყვანა.

სააგენტოს სტრატეგიული მიზანია თითოეულმა მოქალაქემ თავი ღირსეულად იგრძნოს და მიიღოს სამართლიანი უზრუნველყოფა.

2.3. შიდა კონტროლის სისტემის დანერგვის მიმოხილვა

საჯარო სექტორში „კარგი მმართველობის პრინციპების“ განვითარებისა და საჯარო ფინანსების ეკონომიური, ეფექტიანი და პროდუქტიული მართვის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია, შიდა ფინანსური მართვის სისტემის ჩამოყალიბება, განვითარება და გაძლიერება.

სააგენტოს მიზნების და ამოცანების განსახორციელებლად აუცილებელია ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც ორიენტირებული იქნება სააგენტოს მართვის სფეროს მიკუთვნებულ სახელმწიფო პროგრამებში, სტრუქტურულ ერთეულებში (ცენტრალური აპარატი და რეგიონული ერთეულები) და პროცესებში ხელმძღვანელობის პოლიტიკის თანამიმდევრული განხორციელების უზრუნველსაყოფად, აქტივების დასაცავად, გადაცდომების და შეცდომების თავიდან ასაცილებლად, ასევე მათ გამოსავლენად, ბუღალტრული ჩანაწერების სიზუსტის და სისრულის უზრუნველსაყოფად და საიმედო ფინანსური ინფორმაციის დროულად მოსამზადებლად, სააგენტოს საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან და არსებულ წესებთან შესაბამისობაში ფუნქციონირებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მისაღწევად, სააგენტოს მიერ განხორციელებული აქტივობებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესია, მის სისტემაში მიმდინარე წელს შიდა აუდიტის სამსახურის შექმნა სტრუქტურული ერთეულის სახით, რომელიც თავის მხრივ, მნიშვნელოვან როლს შეიტანს სააგენტოში შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარებასა და გაძლიერებაში.

სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახური წარმოადგენს მმართველობისა და შიდა კონტროლის უმნიშვნელოვანეს რგოლს, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ახალი შექმნილია, მიმდინარე ეტაპზე კოორდინირებულად მოქმედებს სამინისტროს სისტემაში არსებულ სხვა მაკონტროლებელ სტრუქტურებთან (სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტი, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტი).

შიდა აუდიტის სამსახური თავისი ფუნქციიდან გამომდინარე, ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის ადეკვატურობის და ეფექტიანობის შეფასებას მოახდენს იმის მიხედვით თუ

რამდენად ეფექტიანად ფუნქციონირებს სააგენტოში ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემა და რამდენად უწყობს იგი ხელს შიდა აუდიტის ობიექტის მიერ დასახული მიზნების მიღწევას.

შიდა აუდიტის სამსახურის სტრატეგია გულისხმობს, რომ ეტაპობრივად შიდა აუდიტის სამსახური შიდა კონტროლის სისტემის ანალიზის განხორციელების მიზნებისათვის, დაიწყებს ხელმძღვანელობას შიდა აუდიტორთა სახელმძღვანელო პრინციპებით, რომლებიც რეკომენდირებულია ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ, განიხილავს რა სააგენტოს ყველა სტრუქტურული დონისათვის დასახულ მიზნებს ოთხ კომპონენტად:

- სტრატეგიული;
- საოპერაციო;
- ანგარიშგების და
- შესაბამისობის (შესაბამის შიდა და გარე კანონმდებლობასთან).

შიდა აუდიტის სამსახური აღნიშნულ მიზნებს განიხილავს ურთიერთდაკავშირებულად სახელმწიფო შიდა კონტროლის ხუთ კომპონენტთან :

- კონტროლის გარემო;
- რისკის მართვა;
- კონტროლის ღონისძიებები;
- ინფორმაცია და კომუნიკაცია;
- სისტემის მონიტორინგი და შეფასება.

შიდა კონტროლი დაეფუძნება კომპონენტურ ანალიზს, მკაცრად რეგლამენტირებულ პროცედურებს და რისკის შეფასების მოწინავე პრაქტიკას. შეფასდება ცალკეული ოპერაციების ეკონომიურობა/ეფექტიანობა და ფინანსური ანგარიშგების სისრულე.

3. შიდა აუდიტის გარემო

შიდა აუდიტის სამსახურმა განახორციელა სააგენტოს აუდიტის გარემოს იდენტიფიკაცია და დოკუმენტირება. სააგენტოს აუდიტის სამყარო განხილულ იქნა, როგორც ყველა სტრუქტურული ერთეულის - 14 დეპარტამენტი, ერთობლიობა და სახელმწიფო პროგრამები განხილულ იქნა მათი როგორც ამ პროგრამების პირდაპირი და არაპირდაპირი განმახორციელებლის ჭრილში.



4. რისკის შეფასება

4.1. რისკის შეფასების მიდგომის მიმოხილვა

შიდა აუდიტის სამსახურმა გამოიყენა რისკების შეფასების რისკის ფაქტორებზე დაფუძნებული მოდელი, რომელიც ასევე რეკომენდირებულია ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ (დანართი №1.1). ამ მოდელით რისკების შეფასების მიზნით განხორციელდა რისკის შემდეგი 5 ფაქტორის იდენტიფიცირება და მათთვის წონების მინიჭება მნიშვნელოვნების მიხედვით:

დანართი №1.1

№	რისკის ფაქტორები	რისკის წონა %
1	პროგრამის სოციალური მოწყვლადობის ხარისხი	20 %
2	თანამშრომელთა რაოდენობა, საქმიანობის და კონტროლის კომპლექსურობის ხარისხი	20 %
3	ბიუჯეტის მოცულობა	40 %
4	აქტივების ფლობა და განკარგვა	10 %
5	წინა აუდიტის დრო, რეკომენდაციები და შესრულება	10 %

ასეთი მიდგომიდან ჩანს, რომ შიდა აუდიტის სამსახურმა მნიშვნელოვანი წონა მიანიჭა სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო პროგრამების მოწყვლადობის ხარისხს, რათა აუდიტის ფუნქცია მაქსიმალურად თანხვედრაში იყოს სააგენტოს მთავარ სტრატეგიულ მიზანთან - უპირველესი მზრუნველობა გამოიჩინოს და საჭირო დახმარება გაუწიოს სოციალურად ყველაზე დაუცველ მოქალაქეებს.

გარდა ამისა, რისკ ფაქტორად იდენტიფიცირებულია სააგენტოს დეპარტამენტში თანამშრომელთა რაოდენობა, საქმიანობის და კონტროლის კომპლექსურობის ხარისხი, რაც შესაძლოა იყოს წყარო ისეთი რისკების, როგორებიცაა მაგალითად, არაეფექტიანობის ან თაღლითობის რისკები.

რისკ ფაქტორი - ბიუჯეტირება, შესრულება და კორექტირება / სტრ.ერთეულები წლიური ხარჯი შეესაბამება დეპარტამენტების მიერ სახელმწიფო პროგრამების კანონის შესაბამისად განხორციელებასთან და ასევე, საკუთარი ხარჯების კანონის შესაბამისად გაწევასთან.

რისკ ფაქტორი - აქტივების ფლობა და განკარგვა ფარავს დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო აქტივების სათანადო განკარგვას.

რისკ ფაქტორი - წინა აუდიტის დრო, რეკომენდაციები და შესრულება მხედველობაში იღებს იმ რისკებს, რომლებიც წარმოიშვება დიდი ხნის პერიოდში სტრუქტურულ ერთეულში აუდიტის ფუნქციის განუხორციელებლობის გამო, და ასევე განხორციელებული აუდიტის შემთხვევაში მისი რეკომენდაციების არ/ან არასათანადოდ შესრულების გამო.

აღნიშნული რისკ ფაქტორების იდენტიფიცირება მოხდა შიდა აუდიტის სამსახურის პასუხის შესაბამისად, სააგენტოს მიზანზე მაღალი ხარისხით განახორციელოს სახელმწიფო პროგრამები, რომლებსაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესი. შესაბამისად, აღნიშნული ფაქტორებიდან გამომავალი რისკები საფრთხეს უქმნიან სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას.

5. შიდა აუდიტის მიდგომა

შიდა აუდიტის მიდგომა სტრატეგიული გეგმის შედგენის და განხორციელებისას არის უპირველესად მაღალი რისკის არეების დაფარვა.

აღნიშნული მიდგომით, აუდიტის სამყაროში იდენტიფიცირებული მაღალი რისკების მქონე აუდიტის ობიექტები, შესაბამისად მაღალი პრიორიტეტით გადანაწილდა სტრატეგიულ გეგმაში. აღნიშნული გულისხმობს, რომ შიდა აუდიტის სამსახურმა ერთი მხრივ პირველ რიგში დაგეგმა მაღალი რისკების დეპარტამენტების და მათ ადმინისტრირებას დაქვემდებარებული პროგრამების აუდიტი, ხოლო მეორე მხრივ ამ დაგეგმვისას გაითვალისწინა შიდა აუდიტის სამსახურის ადამიანური, ტექნიკური და დროის რესურსი.

სააგენტოს დეპარტამენტების სამუშაო პროცესების და პროგრამების მოცულობიდან, კომპლექსურობიდან და ქვეყნის გეოგრაფიიდან გამომდინარე ერთი ინდივიდუალური აუდიტის განხორციელებას, ნორმალურ შემთხვევაში 3 თვის განმავლობაში 10-12 აუდიტორის რესურსი ესაჭიროება, ამასთან აღნიშნული დროის პერიოდი, მოიცავს არაგეგმიური ინდივიდუალური აუდიტის განხორციელებასაც წლის განმავლობაში.

შიდა აუდიტის სამსახური გეგმავს, ეტაპობრივად გაზარდოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება აუდიტის განხორციელებისას და გაზარდოს აუდიტის განხორციელების ეფექტურობა და ეფექტიანობა.

5.1. დაგეგმილი აუდიტორული შემოწმებები 2019

№ პრიორიტეტი	№ ადგილი აუდიტის სამყაროში	აუდიტის ობიექტი (დეპარტამენტი/პროგრამა)	აუდიტის სახე	აუდიტის განხორციელების პერიოდი ადამიანური რესურსი
1	3	საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტი	შესაბამისობა	იანვარი - მარტი 8 აუდიტორი
2	2	სოციალური დახმარების ადმინისტრირების დეპარტამენტი	შესაბამისობა	აპრილი - ივნისი 8 აუდიტორი
3	14	დევენილთა და ეკომიგრანტთა პროგრამების ადმინისტრირების დეპარტამენტი	შესაბამისობა	ივლისი - სექტემბერი 8 აუდიტორი
4	9	სახელმწიფო გასაცემლების დეპარტამენტი	შესაბამისობა	ოქტომბერი - დეკემბერი 8 აუდიტორი

2020

№ პრიორიტეტი	№ ადგილი აუდიტის სამყაროში	აუდიტის ობიექტი (დეპარტამენტი/პროგრამა)	აუდიტის სახე	აუდიტის განხორციელების პერიოდი ადამიანური რესურსი
1	10	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტი	შესაბამისობა	იანვარი - მარტი 8 აუდიტორი
2	1	მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტი	შესაბამისობა	აპრილი - ივნისი 8 აუდიტორი
3	8	ეკონომიკური დეპარტამენტი	შესაბამისობა	ივლისი - სექტემბერი 8 აუდიტორი
4	5	დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი	შესაბამისობა	ოქტომბერი - დეკემბერი 8 აუდიტორი
5	11	დირექტორის აპარატი	შესაბამისობა	ოქტომბერი-დეკემბერი 2 აუდიტორი

2021

№ პრიორიტეტი	№ ადგილი აუდიტის სამყაროში	აუდიტის ობიექტი (დეპარტამენტი/პროგრამა)	აუდიტის სახე	აუდიტის განხორციელების დროის პერიოდი
1	13	კონტროლის დეპარტამენტი	შესაბამისობა	იანვარი - მარტი 8 აუდიტორი
2	12	ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი	შესაბამისობა	აპრილი-ივნისი 8 აუდიტორი
3	6	ლოჯისტიკის დეპარტამენტი	შესაბამისობა	ივლისი - სექტემბერი 8 აუდიტორი
4	7	იურიდიული დეპარტამენტი	შესაბამისობა	ოქტომბერი - დეკემბერი 5 აუდიტორი
5	4	ადმინისტრაციული დეპარტამენტი	შესაბამისობა	ოქტომბერი - დეკემბერი 5 აუდიტორი

5.2. ადამიანური რესურსების განვითარება

შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომელთა პროფესიული ზრდისთვის საჭირო სათანადო ტრენინგით უზრუნველყოფისათვის სამსახურის მიერ გამოყენებული იქნება საერთაშორისო თანამშრომლობის ყველა შესაძლებლობა.

რესურსების განვითარების სტრატეგიის ფოკუსი მომავალი სამი წლის განმავლობაში მოიცავს ეფექტიანობის და ინფორმაციული სისტემების აუდიტების ცოდნის შეძენას.

დანართი №1.2 სოციალური მომსახურების სააგენტოს სტრატეგიული რისკების შეფასების მოდელი

რისკის შეფასების მოდელი (1 დან 3 ქულამდე *)

№	სტრუქტურა ან პროცესი	პროგრამის სოციალური მოწყვლადობის ხარისხი		თანამშრომელთა რაოდენობა, საქმიანობის და კონტროლის კომპლექსურობის ხარისხი		ბიუჯეტის მოცულობა		აქტივების ფლობა და განკარგვა		წინა აუდიტის დრო, რეკომენდაციები და შესრულება		შედეგი ჯამში	პრიორიტეტი
		20%	წონა	20%	წონა	40%	წონა	10%	წონა	10%	წონა		
		ქულა	ნამრ.	ქულა	ნამრ.	ქულა	ნამრ.	ქულა	ნამრ.	ქულა	ნამრ.		
1	მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტი	3	0.6	1	0.2	2	0.8	1	0.1	2	0.2	1.9	6
2	სოციალური დახმარების ადმინისტრირების დეპარტამენტი	3	0.6	2	0.4	3	1.2	1	0.1	2	0.2	2.5	2
3	საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტი	3	0.6	3	0.6	3	1.2	2	0.2	2	0.2	2.8	1
4	ადმინისტრაციული დეპარტამენტი	1	0.2	2	0.4	1	0.4	1	0.1	1	0.1	1.2	13
5	დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი	2	0.4	1	0.2	2	0.8	1	0.1	2	0.2	1.7	8
6	ლოჯისტიკის დეპარტამენტი	1	0.2	2	0.4	1	0.4	2	0.2	1	0.1	1.3	11
7	იურიდიული დეპარტამენტი	2	0.4	1	0.2	1	0.4	1	0.1	2	0.2	1.3	12
8	ეკონომიკური დეპარტამენტი	1	0.2	2	0.4	2	0.8	2	0.2	2	0.2	1.8	7
9	სახელმწიფო გასაცემლების დეპარტამენტი	3	0.6	1	0.2	3	1.2	1	0.1	2	0.2	2.3	5
10	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტი	3	0.6	2	0.4	2	0.8	3	0.3	2	0.2	2.3	4
11	დირექტორის აპარატი	1	0.2	1	0.2	1	0.4	1	0.1	3	0.3	1.2	14
12	ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი	2	0.4	2	0.4	1	0.4	1	0.1	2	0.2	1.5	10
13	კონტროლის დეპარტამენტი	1	0.2	3	0.6	1	0.4	1	0.1	3	0.3	1.6	9
14	დევნილთა და ეკომიგრანტთა პროგრამების ადმინისტრირების დეპარტამენტი	3	0.6	3	0.6	2	0.8	2	0.2	2	0.2	2.4	3

დანართი №1.3 შეფასებული რისკების რანგირება

№	რისკების რანგირება სამინისტროს აუდიტის სამყაროში	პრიორიტეტი
1	საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტი	2.8
2	სოციალური დახმარების ადმინისტრირების დეპარტამენტი	2.5
3	დევნილთა და ეკომიგრანტთა პროგრამების ადმინისტრირების დეპარტამენტი	2.4
4	სახელმწიფო გასაცემლების დეპარტამენტი	2.3
5	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტი	2.3
6	მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტი	1.9
7	ეკონომიკური დეპარტამენტი	1.8
8	დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი	1.7
9	კონტროლის დეპარტამენტი	1.6
10	ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი	1.5
11	ლოჯისტიკის დეპარტამენტი	1.3
12	იურიდიული დეპარტამენტი	1.3
13	ადმინისტრაციული დეპარტამენტი	1.2
14	დირექტორის აპარატი	1.2

დანართი №1.4 შესამოწმებელი ობიექტების პრიორიტეტული რიგითობა

№	შესამოწმებელი მიმართულებები	რისკის ქულები	რისკის დონეები	რისკის პრიორიტეტული რიგითობა
1	საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტი	2.80	მაღალი	1
2	სოციალური დახმარების ადმინისტრირების დეპარტამენტი	2.50		
3	დევენილთა და ეკომიგრანტთა პროგრამების ადმინისტრირების დეპარტამენტი	2.40		
4	სახელმწიფო გასაცემლების დეპარტამენტი	2.30		
5	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტი	2.30		
6	მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტი	1.90	საშუალო	2
7	ეკონომიკური დეპარტამენტი	1.80		
8	დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი	1.70		
9	კონტროლის დეპარტამენტი	1.60		
10	ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი	1.50	დაბალი	3
11	ლოჯისტიკის დეპარტამენტი	1.30		
12	იურიდიული დეპარტამენტი	1.30		
13	ადმინისტრაციული დეპარტამენტი	1.20		
14	დირექტორის აპარატი	1.20		